პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 19 (4013)
28
1970 წ.
იანვარი.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბათუმელ გოგონას რუსუდან სიხარულიძეს ქართული ტანვარჯიშის იმედს უწოდებენ და ეს შეფასება გადაჭარბებულად არავის უნდა მოეჩვენოს. ვინც შარშან მისი გამოსვლები ნახა ერევანში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, ჩეხოსლოვაკიის, საქართველოს საერთაშორისო შეჯიბრებებში თუ სხვაგან გამართულ დიდ ტურნირებში, მისთვის ცხადი გახდებოდა, რომ რუსუდანს მართლაც შეუძლია ტანვარჯიშულ სარბიელზე დიდ წარმატებებს მიაღწიოს. ეს ცქრიალა, სხარტი, მოქნილი, მუდამ გამარჯვებისთვის მებრძოლი გოგონა წლეულსაც გულმოდგინედ მეცადინეობს, ახალი შეჯიბრებებისთვის ემზადება.

სურათზე: რ. სიხარულიძე დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



არდ სხენკი პირველია, ჩვენ?..

ინსბრუკი, 26 იანვარი. უდიდესი ინტერესი გამოიწვია ევროპის მოციგურავე ვაჟთა ჩემპიონატმა, რომელშიც კონტინენტის უძლიერესი მრბოლელები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრების პირველი დღე დამთავრდა ევროპის ექს-ჩემპიონის, ჰოლანდიელი ა. სხენკის წარმატებით — მან 86,040 ქულა დააგროვა (500 მ — 40,55, 5.000 მ — 7.34,9). მომდევნო ადგილებზე იყვნენ ნორვეგიელები რ. გრენვოლდი (86,100) და მ. ტომასენი (86,380).

სპრინტერული დისტანცია მოიგო გფრ-ის წარმომადგენელმა ე. კელერმა (39,84), ხოლო 5.000 მეტრზე პირველი იყო ჰოლანდიელი ქ. ფერკერკი — 7.32,9.

ჩემპიონატში მონაწილე საბჭოთა მოციგურავეები ი. იუმაშევი და ვ. ლავრუშკინი პირველივე დღეს დიდად ჩამორჩნენ ლიდერებს. მათ შესაბამისად XI და XIV ადგილები ეკავათ.

ამსტერდამელმა სტუდენტმა, მომავალმა ექიმმა არდ სხენკმა შეჯიბრების მეორე დღეს დაამტკიცა, რომ ამჟამად მას ტოლი არა ჰყავს ევროპაში: მან ყველაზე სწრაფად გაირბინა 1500 მ (2.04.8 — საციგურაო რეკორდი), ხოლო 10.000 მეტრზე მეხუთე შედეგი (15.59,7) აჩვენა, მრავალჭიდში 175,625 ქულა დააგროვა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ვერცხლის მედალი წილად ხვდა ევროპის შარშანდელ ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონ დ. ფორნესს (ნორვეგია) — 175,715, ხოლო ბრინჯაოსი — შვეციის წარმომადგენელ ე. კლასონს (176,265).

საბჭოთა მოციგურავეთა გამოსვლები ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. იუმაშევმა 182,020 ქულით მხოლოდ XIV ადგილი დაიკავა.

სურათზე: ა. სხენკი.

600 კილოგრამი ზღვარი არ არის

სპორტული სამყარო გააკვირვა ვ. ალექსეევმა (შახტი), რომელმაც ველიკიე ლუკში ფანტასტიკური რეკორდები დაამყარა ზემძიმე წონაში — სამი მოძრაობის ჯამში 595 კგ დააგროვა. საკდესის კორესპონდენტი ი. ხრომოვი შეხვდა რეკორდსმენს და მის მწვრთნელს ა. ჩუჟინს. მან ძალოსანსა და მის აღმზრდელს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

— როდის გადაწყვიტეთ იერიში მიგეტანათ ლეონიდ ჟაბოტინსკის რეკორდზე სამჭიდში?

ალექსეევი: შარშან შემოდგომით მე და ჩემმა მწვრთნელმა გადავწყვიტეთ, რომ ჩემთვის ეს იერიში შეუძლებელი არ არის. რა თქმა უნდა, მზადების მეთოდიკაში ბევრი რამის შეცვლა დაგვჭირდა. გავზარდეთ საწვრთნელი მუშაობის ინტენსივობა. ერთ ვარჯიშზე 10-15 ტონას ვწევდი. ყურადღება მივაქციე საკუთარ წონასაც, რომელიც 134 კგ-მდე მივიყვანე.

— როგორ ჩატარდა შეჯიბრება ველიკიე ლუკში?

ალექსეევი: სულ 8 ცდა გამოვიყენე და ყველა წარმატებით დამთავრდა. აჭიმვაში 200 კგ-ით დავიწყე, შემდეგ კი ერთბაშად დავძლიე სარეკორდო შტანგა — 210,5 კგ. ატაცში თანმიმდევრობით 155, 160 და 165 კგ ავიღე, აკვრაში 210, 217,5 (რამაც ჯამში უკვე სარეკორდო შედეგი მოგვცა — 592,5) და, დასასრულ, მსოფლიო რეკორდი — 221,5 კგ.

ჩუჟინი: უნდა ითქვას, რომ ალექსეევმა აჭიმვაში პირველი ცდა ცოტა შებორკილად შეასრულა. მისთვის 200 კგ არც ისე მნიშვნელოვანი წონაა და ამიტომ ოდნავ გაუფრთხილებლად მოიქცა. მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგად წარიმართა.

— როგორი იქნება მორიგი ზღვარი?

ალექსეევი: რა თქმა უნდა, 600 კგ. ახლა მსოფლიოში ძალიან ბევრს შეუძლია სამი მოძრაობის ჯამში 6 ცენტნერი დაძლიოს. ამიტომ უნდა ვიჩქარო. ამ შედეგის მოპოვება უკვე მარტში უნდა ვცადო მინსკში, მეგობრობის თასზე შეჯიბრებაში. თუ მომავალზე ვილაპარაკებთ, მიმაჩნია, რომ 1972 წლისთვის რეკორდი 620, 630 კგ-მდე გაიზრდება. მინდა ამ საქმეში „უშუალო მონაწილეობა“ მივიღო. ჩემთვის ეს ჯამი დაახლოებით ასეთი შედეგებით შეიძლება შედგეს: აჭიმვა — 220, ატაცი — 175, აკვრა — 230.

— გვიამბეთ თქვენს თავზე...

ალექსეევი: დავიბადე რიაზანის ოლქში. ბავშვობა არხანგელსკის ოლქის სოფელ როჩეგდაში გავატარე, სადაც დღემდე ცხოვრობენ ჩემი მშობლები. სკოლაში პირველად გამოვედი ოფიციალურ შეჯიბრებაში, ოღონდ... ფრენბურთში. ვმონაწილეობდი რაიონის ჩემპიონატში. სხვათა შორის, ამ სახეობაში პირველი თანრიგი მაქვს. კარგად ვგრძნობდი თავს ხტომის სექტორში: 180 სმ სიმაღლეზე, 6 მ — სიგრძეზე. ფიცარნაგზე პირველად 1961 წელს გამოვედი, როცა საინსტიტუტო ტურნირში მივიღე მონაწილეობა (ვსწავლობდი არხანგელსკის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში). ქვემძიმე წონაში 245 კგ დავძლიე. პირველი მწვრთნელი ს. მილეიკო დამპირდა, რომ ჩემგან ოლქის ჩემპიონს გაზრდიდა.

შემდეგ ოჯახთან ერთად სოფელ კორიაჟმუში გადავედი, — კოტლასის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატში ცვლის უფროსად დავიწყე მუშაობა, ერთდროულად გამოვდიოდი შეჯიბრებებში. 1966 წელს სპორტის ოსტატი გავხდი და ჩუჟინს შევხვდი. ლენინგრადის პროფკავშირელ ძალოსანთა ჩემპიონატში მან დამიყოლია, რომ ზემძიმე წონაში გადავსულიყავი. საჭირო წონა რომ მიმეღო, პურსა და რძეს შევუტიე. გუშინდელივით მახსოვს: ჯამში 435 კგ ვაჩვენე. მას შემდეგ, თუმცა საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალე, მე და ჩუჟინი ერთად ვმუშაობთ. 3 წლის წინ 500 კგ მოვაგროვე, ოლიმპიურ 1968 წელს კი მივაღწიე ჩემთვის საუკეთესო შედეგს — 540 კგ.

— ძალოსანთა მადაზე ლეგენდები დადის. რას გვეტყვით ამის შესახებ?

ალექსეევი: ჩვეულებრივ ადამიანებზე მეტს არ ვჭამ. ხანდახან სადილად მარტო წვნიანი მყოფნის. ძალიან მიყვარს თევზი, განსაკუთრებით, ცივი, შებოლილი. ხორცისადმი გულგრილი გახლავართ. გამონაკლისია ბიფშტექსი, რომელსაც მე თვითონ ვაკეთებ შინაური რეცეპტით.

— რა გიყვართ სპორტის გარდა?

ალექსეევი: ბევრს ვკითხულობ, კლასიკოსებსაც და თანამედროვე მწერლებსაც.

ჩუჟინი: შეჯიბრების წინ დეტექტივები ურჩევნია.

ახლა შეკითხვით უნდა მივმართო მსოფლიო რეკორდსმენის აღმზრდელს:

— რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენს მოწაფეზე?

ჩუჟინი: ასეთ მოწაფეზე ყოველი მწვრთნელი ოცნებობს. ადრე ვასილი ყველაფერს მიჯერებდა, რასაც ვეტყოდი, ახლა ზოგადი მითითებებით ვიფარგლები. კონკრეტულ სამუშაოს იგი თვითონ ადგენს. მით უმეტეს, რომ მე მოსკოვში ვცხოვრობ და ისე ხშირად აღარ გვიხდება შეხვედრა. ვასილის ნათელი გონება აქვს: ყველაფერს სიტყვის უთქმელად ხვდება. ამას უნდა დავუმატო, რომ რეკორდსმენი ძალზე მშვიდი, მეგობრული კაცია და იუმორის გრძნობა აქვს.

მოკლე ამბები

● **ბრიანსკი, 28 იანვარი.** გუშინ ადგილობრივ მანეჟში დამთავრდა ბრიანსკის ოლქის მძლეოსანთა ზამთრის პირველობა, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. პროფკავშირთა IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა ვ. კოზლოვმა 210 სმ სიმაღლე გადალახა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლ. სამოტიოსოვამ გაიმარჯვა 60 მეტრზე რბენაში — 7,2 წამი. მან კარგი დრო აჩვენა 300 მეტრზე რბენაშიც — 40,6. სსრ კავშირის ნაკრების წევრი ე. სინიაევი 60 მეტრზე რბენაში სულ 0,1 წამით „ჩამორჩა“ დახურული შენობებისთვის მსოფლიო მიღწევას — 6,5 წამი აჩვენა. ნადეჟდა მუშტამ 500 მ 1 წუთსა და 16,5 წამში გაირბინა, ხოლო სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრმა ა. კუჩერიავიმ — 300 მ 36,2 წამში.

● **სლიაჩი,** 26 იანვარი. **ჩეხოსლოვაკიის ამ პატარა ქალაქის მიდამოებში გდრ-ის, გფრ-ის, პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურეთა მონაწილეობით გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოვის „ლოკომოტივის“ წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. 5 კმ-ზე ქალთა რბოლაში ყველას აჯობა ა. უნგერმა (გდრ) — 17.24,8. მოსკოველი ლ. მენშიკოვა მეხუთე იყო (17.52,4), ხოლო ო. ჩემეზოვა — მეექვსე (17.58,3). 15 კმ-ზე ვაჟთა რბოლაც გდრ-ის წარმომადგენელმა ა. ლესლერმა მოიგო (48.00,8). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო V ადგილზე გასული ა. მალიუტინი (51.14,6).**

● მოსკოვი, 26 იანვარი. გუშინ ლუჟნიკში ფინიში ჰქონდა ზამთრის V ტრადიციულ გუნდურ ავტორალის „სნეჟინკას“. 2518 დათოვლილი კილომეტრი უდანაკარგოდ და დაუგვიანებლად მხოლოდ ლენინური კომკავშირის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის გუნდმა (ე. ლიფშიცი, გ. შჩაველევი, ი. ასტაფიევი, ი. ლისოვსკი, ა. პეჩონკინი და ს. ლუჩინი) დაფარა. სწორედ ამ კოლექტივმა აჯობა ყველას. სტარტზე 21 გუნდი გამოვიდა, რომლებიც „ვოლგისა“ და „მოსკვიჩის“ მარკის 63 მანქანას მართავდნენ.

● **კაუნასი,** 26 იანვარი. **დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივი „ჟალგირისისა“ და სკიებერგის (ნორვეგია) ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის. კაუნასელებმა ეს შეხვედრაც მოიგეს (17:10) და გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ.**

● **ალმა-ათა, 26 იანვარი.** მედეუს მაღალმთიან საციგურაოზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც გდრ-ის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პოლონეთის, შვეციისა და სსრ კავშირის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, სპრინტერულ მრავალჭიდში ყველას აჯობა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. მურატოვმა, რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 158,265 ქულა. ქალთა შორის საუკეთესო იყო ჩელიაბინსკელი ტ. სიდოროვა — 179,745 ქულა. 500 მეტრზე რბენაში გუშინ მსოფლიო რეკორდი დაამყარა შვეციის არმიის ჯარისკაცმა ჰ. ბიორიესმა, რომელმაც მძიმე მეტეოროლოგიური პირობების (ძლიერი თოვა და ქარი) მიუხედავად, ეს მანძილი 38,87 წამში დაფარა (ბიორიესს ამ დღეს შეუსრულდა 22 წელი). ეს შედეგი მეორეა საციგურაო სპორტის ისტორიაში: შარშან მედეუს საციგურაოზე სსრ კავშირის რეკორდსმენმა ა. ლეპიოშკინმა სპრინტში 38,8 წამი აჩვენა, მაგრამ, ვინაიდან ეს ოფიციალურ შეჯიბრებაში არ მოხდა, ცხადია, შედეგი მსოფლიო რეკორდად არ დაამტკიცეს. კლასიკურ მრავალჭიდში ქალთა შორის ყველას აჯობა ლენინგრადელმა კ. სერიოგინამ. ვაჟებში ნორვეგიელ მაიერთან მწვავე ბრძოლაში იმარჯვა კიროველმა ა. ჩეკულაევმა.

● **ჰავანა,** 26 იანვარი. **აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში თავისუფალი სტილის ხუთივე ბელორუსიელმა მოჭიდავემ I ადგილები დაიკავა. აი, გამარჯვებულებიც: ორი ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონი ა. მედვედი, მისი ძმა პეტრე, პ. შესტაკოვი, ი. კონოლოვი და ს. ლისაფინი.**

● კლიპანი (შვეცია), 26 იანვარი. **„კლასიკოსთა“ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა რსფსრ-ს ნაკრებმა. ხალიჩაზე გამოვიდნენ, აგრეთვე, გდრ-ის, ნორვეგიის, გფრ-ის, დანიისა და შვეციის მოჭიდავეები.**

მოსკოვი. 1976 წელი...

1970 წლის 8 მაისს ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) მორიგ სესიაზე გადაწყდება XXI ოლიმპიადის ადგილის საკითხი.

მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენებამ ფართო რეზონანსი გამოიწვია სპორტულ წრეებში. ამ ამბავს კმაყოფილებით შეხვდა ბევრი უცხოელი სპორტული მოღვაწე და სპორტსმენი. სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს მისამართით განუწყვეტლივ მოდის წერილები და დეპეშები, რომელთა ავტორებიც მოსკოვის კანდიდატურას უჭერენ მხარს.

ახალი ამბების სააგენტომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებსა და გამოჩენილ სპორტსმენებს სთხოვა გამოეთქვათ აზრი ან კანდიდატურის შესახებ. დღეს ვაქვეყნებთ რამდენიმე პასუხს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და იტალიის ჩოგბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი ჯორჯო დე სტეფანი

— ცნობას იმის შესახებ, რომ მოსკოვმა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად თავისი კანდიდატურა წამოაყენა, დიდი კმაყოფილებით შევხვდი. ჯერ კიდევ არ ვიცი, რა აზრის არიან ჩემი კოლეგები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ კანდიდატურის დასახელება დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, იმ მაღალ მიღწევებთან, რომლებიც სსრ კავშირის სპორტსმენებმა მოიპოვეს. ამიტომ საბჭოთა დედაქალაქს დიდი მორალური უფლება აქვს ოლიმპიადის ჩატარებისა.

მე პირადი გამოცდილება მაქვს კორტინა დ'ამპეცოსა და რომის ოლიმპიადების ორგანიზაციაში. ამიტომ ვიცი, რომ ეს მარტო საპატიო კი არა, ძალიან ძნელი საქმეცაა, რომელიც გულდასმით მომზადებას და დიდ პრაქტიკულ მუშაობას მოითხოვს. ეს სერიოზული გამოცდა იქნება სსრ კავშირის სპორტის მესვეურებისთვის. დარწმუნებული ვარ, თუ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოსკოვს მისცა ხმა, საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის წევრები, კერძოდ, ჩემი მეგობრები კონსტანტინე ანდრიანოვი და ალექსეი რომანოვი, ისევე როგორც მოსკოვის საქალაქო ხელისუფლება, ამ ამოცანათა სიმაღლეზე აღმოჩნდებიან. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირში არაფერია საეჭვო ისეთი დიდი ასპარეზობის ჩატარების მატერიალური ბაზის მხრივაც, როგორიც ოლიმპიადაა. მე ბევრჯერ ვყოფილვარ მოსკოვში და მინახავს, რა დიდებული სპორტული ნაგებობები აქვს საბჭოთა დედაქალაქს უკვე ამჟამად.

ვიმეორებ, თუ 1976 წლის ოლიმპიადა მოსკოვში ჩატარდება, მხოლოდ იმაზე დამწყდება გული, რომ პროგრამაში არ შევა ჩემი გატაცება — ჩოგბურთი, ერთ-ერთი იმ შვიდი სახეობიდან, რომელთა საფუძველზეც ოლიმპიური მოძრაობა განვითარდა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი იან სტაუბო (ნორვეგია)

— ჩემთვის სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ მოსკოვმა თავი 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორად დაასახელა. ოლიმპიადის ჩატარებას მოსკოვში, იმ სახელმწიფოს დედაქალაქში, რომელიც სოციალიზმის ბანაკს უდგას სათავეში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისთვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ვიცნობ მოსკოვში ოლიმპიური თამაშების ჩატარების კონკრეტულ, დეტალურ პროგრამას და ამიტომ ვერ შევადარებ მას მონრეალისა და ლოს-ანჯელესის გეგმებს. მაგრამ მოსკოვის კანდიდატად დასახელება უკვე კარგი იდეაა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი გუსტავ დიურსენი (შვეცია)

—მე ჯერ კიდევ არ მიმიღია დეტალური გეგმები საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტისგან და ამიტომ სსრ კავშირის წინადადებაზე კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. მაინც უნდა ვთქვა, რომ შვეციისთვის ოლიმპიადის საბჭოთა კავშირში ჩატარებას მთელი რიგი უპირატესობანი აქვს. პირველ ყოვლისა, მოსკოვში შვედი სპორტსმენებისთვის უფრო ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. ეს ამბავი ჩვენთვის მომგებიანი იქნება ეკონომიური თვალსაზრისითაც. ოდნავაც არ მეპარება ეჭვი, რომ სსრ კავშირში სავსებით საკმარისი რესურსები აქვთ ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისთვის. გამორიცხული არ არის, რომ საბჭოთა სპორტის მესვეურთა წინაშე წამოიჭრას ზოგიერთი სირთულე, მაგალითად, ენობრივი, ან სპორტსმენთა, ჟურნალისტთა და სტუმრების დაბინავება. მაგრამ მათ კიდევ აქვთ დრო ამ პრობლემების გადასაწყვეტად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი რუდოლფ ნემეჩკე

— როგორც ცნობილია, 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების სურვილი ოთხმა ქალაქმა გამოთქვა. როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრს, უაღრესად საინტერესოდ მიმაჩნია 21-ე ოლიმპიადის მოსკოვში ჩატარების იდეა, რადგან ეს ასპარეზობა ჯერ არ გამართულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. რასაკვირველია, საბოლოო სიტყვა ამ საკითხში ეკუთვნის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც ამსტერდამის სხდომაზე დაადგენს მომავალი ოლიმპიადის ჩატარების ადგილს. ამასთან, დაცული იქნება დემოკრატიული პროცედურის ყველა წესი.

მსოფლიო რეკორდსმენი ხუთჭიდში, ევროპის ჩემპიონი ლიზელ პროკოპი (ავსტრია)

— ჩემი აზრით, ოლიმპიადის ჩატარება აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში უაღრესად საინტერესოა. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებდა, რომ სპორტმა საზღვრები არ იცის. ისიც უნდა ითქვას, რომ 1972 წლის ოლიმპიადის მიუნხენში მოწყობის შემდეგ, ჩემი აზრით, ევროპის ქალაქებს ნაკლები შანსი აქვთ მორიგი თამაშების მასპინძლობისა. ვფიქრობ, საკითხი ოკეანეს გაღმა მდებარე რომელიმე ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდება. თუმცა, ვინ იცის.

ჩემთვის ამ საკითხს წმინდა „აკადემიური“ მნიშვნელობა აქვს, რადგან გადავწყვიტე სპორტს თავი დავანებო. 28 წლისა ვარ, ამ ასაკში კი უკვე მომავალ ბედზე უნდა იფიქრო. მით უმეტეს, რომ ჩვენში სპორტი სამერმისოდ მტკიცე გარანტიებს არ იძლევა. ჩვენი საოჯახო ესტაფეტა ამიერიდან ჩემი დის ხელშია, რომლისგანაც მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში კარგ სტარტებს მოველი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, შვეიცარიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი რაიმონდ გაფნერი

— მოსკოვის მასპინძლობა ბრწყინვალე იდეაა. იმ ქვეყნის კანდიდატურას, სადაც სპორტი ასე კარგადაა განვითარებული, სადაც ამდენი კარგი სპორტსმენი ჰყავთ, პატარა შანსები როდი აქვს და, ჩემი აზრით, იგი მიღებული იქნება.

მიმაჩნია, რომ მოსკოვში ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის ტექნიკური თვალსაზრისით ყველა პირობა არსებობს. როცა ლოზანაში ამ საკითხზე ველაპარაკებოდი მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანს ანატოლი პეგოვს, მან მიამბო საბჭოთა დედაქალაქში უკვე არსებულ სპორტულ ნაგებობებზე და იმ ბაზებზეც, რომლებიც აიგება, თუ მოსკოვის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.

სამწუხაროდ, დღემდე არ მომეცა მოსკოვის ნახვის შესაძლებლობა. მაგრამ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტისგან უკვე მივიღე მიწვევა და უახლოეს ხანებში გავემგზავრები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ივარ ვინდი (დანია)

— მე, როგორც ოფიციალურ პირს, უფლება არა მაქვს აზრი გამოვთქვა მოსკოვის წინადადებაზე, ვიდრე საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტისგან სოკ-ის წესდებით გათვალისწინებულ 14 შეკითხვაზე პასუხს არ მივიღებ. მაგრამ, როგორც სპორტის თაყვანისმცემელი, ამ იდეას დადებითად ვუყურებ.

1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტში (1 კმ-ზე ადგილიდან რბოლაში) ჯანი სარტორი (იტალია)

— დიდი კმაყოფილება მომანიჭა იმ ამბავმა, რომ მოსკოვი XXI ოლიმპიადის ჩატარებას აპირებს. ვფიქრობ, მას სხვა პრეტენდენტებზე, მათ შორის, ჩვენს ფლორენციაზე მეტი შანსი აქვს. დღემდე ხომ სოციალისტურ ქვეყნებში არც ერთი ოლიმპიადა არ ჩატარებულა. მე საკუთარი თავის მიხედვით ვმსჯელობ: რომელ სპორტსმენს არ სურს მოსკოვში გამოსვლა!

რაც შემეხება პირადად მე, არა ვარ დარწმუნებული, რომ 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მივიღებ. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ განხორციელდება ჩემი ოცნება: მოსკოვის ან ტულის ტრეკზე გამოვალ აგაპოვთან და სხვა საბჭოთა მრბოლელებთან — კარგ ბიჭებთან და ჩინებულ სპორტსმენებთან ერთად. მაშ ასე, მოსკოვში შეხვედრამდე!

სახელი
[illegible]

მუხა-კოლა

თბილისში ჭიდაობა მუდამ გავრცელებული იყო. ძველი თბილისის სხვადასხვა უბანში საჭიდაო მოედნებზე კვირა და უქმე დღეებში გამუდმებით ისმოდა ახალგაზრდობის ჟივილ-ხივილი. ისინი გატაცებით ერკინებოდნენ ერთმანეთს. ასეთი ჭიდაობა მუდამ ზარ-ზეიმით ტარდებოდა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი იმდროინდელი მოჭიდავის სახელი დავიწყებასაა მიცემული და ჩვენი ვალია გავაცნოთ ისინი თანამედროვეებს. ერთ-ერთი მათგანია თბილისელი ნიკო ესტატეს ძე ნარგიზაშვილი, ფალავანი, რომელსაც ჭიდაობის მოყვარულებმა მეტსახელად მუხა-კოლა შეარქვეს.

მუხა-კოლა დაიბადა თბილისში, 1897 წელს, ორთაჭალისა და ხარფუხის მიჯნაზე, „მეღროგე ესტატეს“ ოჯახში. მამამისი ადრე ადელხანოვის ფაბრიკაში მუშაობდა მეფორნედ, შემდეგ კი ტყავის ქარხანაში. დედა პელაგია ალექსის ასული კახელაშვილი სოფელ კუმისიდან გახლდათ. მუხა-კოლა სულ ბავშვი იყო, როცა ხარფუხის საჭიდაო მოედანზე (რომელსაც „საყინულეს“ ეძახდნენ) თავის ტოლ ბიჭებში საჭიდაოდ გამოდიოდა. თანაც, იგი თვალს არ აშორებდა უფროსი ფალავნების შერკინებას და მალე ისე გაიწაფა, რომ უბნის ბიჭებში ფალავნის სახელიც დაიმსახურა. 16 წლის კოლას, ზორბა, მხარბეჭიან ვაჟკაცს, ხარფუხში ძლიერი მოჭიდავის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იგი თავისზე უფროს და გამოცდილ მოჭიდავეებსაც სჯაბნიდა. მალე ხარფუხში მას ყველა მეტოქე შემოეცალა და ძალის მოსასინჯად ახლა სხვა უბნებს ეწვია.

ოცი წლის კოლა პეტრე-პავლეს სასაფლაოს გვერდით მდებარე საჭიდაო გორაზე ავლაბრელ ფალავანს ამბროსი გაგნიძეს დააჭიდეს. პირველი შერკინება დაზავებით დამთავრდა. მაგრამ ჭიდაობის მოყვარულნი არ ისვენებდნენ და ფალავნები ხელახლა შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად, მედოლე ტუხის (ჩხირაძე) დასტის მონაწილეობით. გადამწყვეტ ასპარეზობაში გაგნიძე დამარცხებულა.

ასევე წარმატებით უჭიდავია მუხა-კოლას ნავთლუღელ ფალავანთან (ძველი „ბოინის“ გვერდით მდებარე საჭიდაო მოედანზე) — 12 წუთში დაუმარცხებია განთქმული ვანო ნავთლუღელი. კოლას უძლეველობის სახელი მთელს ქალაქს მოედო მას შემდეგ, რაც ესიკოვსკის ცირკში დათა ლილოელი წააქცია (იგი სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში მუხა-კოლასთან საჭიდაოდ).

კოლა პურმარილიანი, სტუმართმოყვარე და ალალი კაცი იყო, ხალხში პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ზოგიერთი მოშურნე პირდაპირ შერკინებას რომ ვერ ბედავდა, მიპარვით, ღალატით ცდილობდა მის დაუძლურებას. ერთ-ერთი ჭიდაობის შემდეგ, წესისამებრ, მუხა-კოლას პურმარილი გაუმართეს. აი, სწორედ აქ იხელთეს დრო მოშურნეებმა და შექეიფიანებულს საწამლავიანი ღვინო დაალევინეს. მას შემდეგ ორ წელიწადს ავადმყოფობდა მუხა-კოლა, ყოველდღე დნებოდა და 1925 წელს 27 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში. დაკრძალეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. მის საფლავზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა იეთიმ გურჯმა. სიტყვებით გამოვიდნენ მუხა-კოლას ნათესავი, სცენისმოყვარე მუშა დავით ჩაჩანიძე, მუშა პოეტი მაქრო ნავთლუღელი. მგრძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ხარფუხის თავკაცმა, საზოგადო მოღვაწემ და კულტურულ საქმეთა გულმხურვალე მოამაგემ გიორგი შათირიშვილმა. მუხა-კოლასადმი მიძღვნილი იეთიმ გურჯის ლექსი იმღერა პოპულარულმა მედოლე ტუხომ. აი, ეს ლექსიც:

კიდევ მწარე სიკვდილმა
ჩვენკენ პირი მოილო,
პურ-მარილის კაცები
ძლიერ თვალში აილო.

გაუმაძღარ სამარის
კარი ისევ გაიღო,
ლურჯი სუფრა დაობლდა,
ბილანები წაიღო.

სტირის სუფრის თამადა,
დაჰკლებია შვილები,
ლხინის ჩანგი დამდგარა,
დასწყვეტია სიმები.

დაგვილონდნენ კაცები,
პურ-ღვინის ამქარია,
მწარე ამბავი გვესმის,
მუხა-კოლა მკვდარია.

ეს ხომ ვიცით მოვკვდებით,
ბოლო — მიწა-მტვერია,
კარგი კაცის სიკვდილი,
ყველასათვის ძნელია.

მუხა-კოლას სიკვდილმა
მოგვდო ცეცხლის ალია.
მის ცხონებით მოგონება
იეთიმ შენი ვალია.

გთავაზობთ ერთ ეპიზოდს მუხა-კოლას ცხოვრებიდან:

ერთხელ რიყეში ყასაბმა ვანუამ უზარმაზარი ძროხა იყიდა, რომელიც 25 ფუთზე მეტს იწონიდა. ძროხამ იუცხოვა საყასბოს ეზოში დაბმა, ჯაჭვი გაწყვიტა და ქუჩაში გავარდა. უკან, ეზოში მისი დაბრუნება საოცრად გაძნელდა. გააფთრებულმა პირუტყვმა რამდენიმე კაცი კისრის მოქნევით მოისროლა. მუხა-კოლა იქვე დუქანში სხვებთან ერთად სადილობდა, როცა ყასბებმა დახმარება სთხოვეს. იქვე შორიახლოს, სეირის მოყვარულ ხალხს მოეყარა თავი. მუხა-კოლა მიუახლოვდა ძროხას, ღონივრად ჩაავლო მარჯვენა ხელი რქაში, კისერი მოუგრიხა და ძირს დასცა.

ვ. ჩაჩანიძე.

[illegible]

წითელწყარო

რაიონის მოსწავლეთა აქ გამართული სპარტაკიადის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილზეა ზემო ქედის, ხოლო III — არბოშიკის საშუალო სკოლის კოლექტივი.

გ. კაკალაშვილი.

საბჭოთა მოჭიდავეების

წლევანდელი სეზონი თავისუფალი და კლასიკური სტილის საბჭოთა მოჭიდავეებისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო უნდა იყოს. საბჭოთა სპორტსმენების მთავარი მიზანია უპირატესობის შენარჩუნება მსოფლიო ხალიჩაზე. განვლილი 1969 წელი მათთვის იღბლიანი იყო. სსრ კავშირის ნაკრებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა ტიტულები მოიპოვა ჭიდაობის ორივე სახეობაში.

წლის პირველი დიდი შეჯიბრება, რომლითაც სტარტს იღებენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, თბილისის ტურნირი იქნება. როგორც ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ჭიდაობის განყოფილების გამგემ მ. ტიხომიროვმა განაცხადა, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, ირანის, მონღოლეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების მოჭიდავეები.

თუ სხვა სტუმრების გუნდები ძირითადად დებიუტანტებით იქნება დაკომპლექტებული, ირანის ნაკრებს ყველაზე ძლიერი შემადგენლობა გამოჰყავს. საქართველოში გამომგზავრების წინ ირანელმა ათლეტებმა ჩაატარეს შესარჩევი შეჯიბრება, რომლის შედეგადაც თბილისში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს ისეთმა გამოცდილმა ოსტატებმა, როგორიც არიან მსოფლიო ჩემპიონები ე. ჯავადი და ა. მოვახედი, მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი შ. სეიდ-აბასი.

თუ თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ნაკრებს უკვე მრავალი წელია ამზადებს ა. დიაკინი, „კლასიკოსთა“ გუნდს ახალი უფროსი მწვრთნელი ჰყავს — მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის ექს-ჩემპიონი, 27 წლის ა. იურკევიჩი. სხვათა შორის, თავისი პირველი ინტერვიუ, როგორც ნაკრების მწვრთნელმა, იურკევიჩმა სწორედ „ლელოს“ წარმომადგენელს მისცა.

— ჩემი მთავარი საზრუნავია, — თქვა მან, — შევინარჩუნოთ საბჭოთა გოლიათების სასახელო ტრადიციები. ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეებს დებიუტი ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში ჰქონდათ. აი, უკვე 18 წელია ისინი დაუმარცხებელნი

ახალი ამბის აქცენტი

ტალი—ჯანმრთელობა და ოპტიმიზმი

მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ტალის ამასწინანდელმა წარმატებამ თბილისში, გოგლიძის მემორიალში, სადაც მან I-II ადგილები გაიყო ბუხუტი გურგენიძესთან, შესანიშნავი საბჭოთა დიდოსტატის ბევრ გულშემატკივარს გაუღვივა იმედი. თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთ გარემოებას, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ეს წარმატება, ალბათ, მოულოდნელი იყო მათთვისაც კი, ვისაც მიაჩნდა, რომ ტალის წარუმატებლობის ხანა ადრე თუ გვიან დამთავრდებოდა. ვისარგებლე იმ ამბით, რომ დიდოსტატი რამდენიმე დღით მოსკოვში ჩამოვიდა და სასტუმრო „როსიას" ნომერში ვეწვიე. ტალი უფრო გამხდარი მეჩვენა, ვიდრე წინა საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ, მაგრამ ღიმილი ისევე მხიარული ჰქონდა, როგორც მისთვის საუკეთესო პერიოდში.

— ოჰო, ხედავთ, ისევ მომაკითხეს ინტერვიუსთვის! — ასე დაიწყო საუბარი ტალმა.

● **პირველ ყოვლისა, შეკითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში ბანალური სულაც არ არის: როგორა გაქვთ ჯანმრთელობის საქმე?**

— მადლობა ღმერთს, ახლა კარგად. უნდა გითხრათ, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე თირკმელების, უფრო სწორად, თირკმელის ავადმყოფობა მტანჯავდა. ბოლო საკავშირო ჩემპიონატის დღეებშიც კი რეგულარულად ვკითხავდი ექიმებს. მაგრამ აი, ნოემბრის ბოლოს თბილისელი პროფესორის სოკრატ არშბას დახმარებით მოვიშორე ეს შემაწუხებელი თირკმელი. მინდა მადლობა გადავუხადო ამ შესანიშნავ ქირურგს, აგრეთვე, ექიმ ნოდარ ბეროძეს, და თბილისის პირველ საავადმყოფოსთან არსებული უროლოგიის ინსტიტუტის ყველა მუშაკს.

● **ესე იგი ყველაფერი უწინდებურადაა — ჯანსაღ ტალში ჯანსაღი სულია?**

— ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ განა თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემადგენლობა ძალიან ძლიერი არ იყო? საქართველოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მონდომება არ დაიშურეს, რათა ცნობილი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის მემორიალი, როგორც იტყვიან, მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. თბილისის ტურნირს ინტერესი შემატა თუნდაც მხოლოდ ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის ჰორტის მონაწილეობამ, რომელიც მსოფლიოს წამყვან მოჭადრაკეთა რიგებში შევიდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სხვა ცნობილი დიდოსტატები და ძლიერი ოსტატები, როგორიც არიან, მაგალითად, ჩოკილტია, რომელიც ამას წინათ რუმინეთის ჩემპიონი გახდა, ან გურგენიძე, რომელზეც მე განსაკუთრებით მინდა ვილაპარაკო.

მაშ ასე, ტურნირი ძალიან ძლიერი იყო, ხოლო ინტერვალი ამ შეჯიბრების დაწყებასა და საავადმყოფოდან ჩემს გამოსვლას შორის სულ ხუთ დღეს უდრიდა. განა გასაკვირია, რომ მორიგი მარცხისთვის ვიყავი მზად, თუმცა მტკიცედ მწამდა, რომ ჩემი სატურნირო წარუმატებლობების სერია ამით უნდა დამთავრებულიყო? მაგრამ აი, საკმაოდ მოკრძალებული დასაწყისის შემდეგ უცებ ვიგრძენი, რომ საქმე კარგად მიდის. მართლაც, ზედიზედ 5 პარტია მოვიგე და გურგენიძესთან I ადგილი გავიყავი. მაგრამ მახარებს არა იმდენად სპორტული შედეგი, რამდენადაც ის ამბავი, რომ ორი კვირის განმავლობაში ვითამაშე უფრო მეტი საინტერესო, შემოქმედებითად სრულფასოვანი პარტია, ვიდრე ბოლო ორ წელიწადში. დიახ, მხოლოდ იმასღა ვწუხვარ, რომ პროფესორ არშბასთან ჩემი შეხვედრა ზონალური ტურნირის შემდეგ მოხდა...

შესანიშნავად მესმის, რომ ჩემი თბილისური წარმატება განმტკიცებას მოითხოვს, რადგან მას ბევრი მარცხი უძღოდა წინ. მე ავადმყოფობის დროსაც არასოდეს მითქვამს უარი ტურნირებში თამაშზე, ამჟამად მით უმეტეს არ ვაპირებ დიდხანს დასვენებას.

ახლა კი მინდა მივულოცო დიდოსტატის ტიტული ჩემს მეტოქეს ტურნირში ბუხუტი გურგენიძეს. მან შესანიშნავად ჩაატარა მთელი შეჯიბრება და საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა გადაჭარბებით შეასრულა. მაგრამ ეს სენსაცია არ არის. გურგენიძეს ძალზე გაუგრძელდა ოსტატობის პერიოდი, რადგან თამაშის კლასით, სტრატეგიული ნიუანსების გაგებით, ტაქტიკური ხელოვნებით იგი უკვე დიდი ხანია იმსახურებდა დიდოსტატის წოდებას.

წარმატებით ჩაატარა შეჯიბრება მეორე ნიჭიერმა თბილისელმა ოსტატმა რომან ჯინჯიხაშვილმაც. ძალიან მომწონს ის ამბავი, რომ ჯინჯიხაშვილი — ამჯერად უკვე საერთაშორისო ოსტატი — თითქმის ყველა პარტიას მხოლოდ მოგებაზე თამაშობს და არც ერთი მეტოქისა არ ეშინია.

● **მინდა მოგცეთ შეკითხვა, რომელიც, ალბათ, რიგისა და თბილისის ბევრ ჭადრაკის მოყვარულს აინტერესებს. გვითხარით, თუ შეიძლება, დავუჯეროთ თუ არა ხმებს, თითქოს ლატვიის დედაქალაქიდან საცხოვრებლად თბილისში გადადიხართ?**

— დიახ, ეს ხმები უსაფუძვლო არ არის. რასაკვირველია, მშობლიურ რიგასთან განშორება მიჭირს, მაგრამ ექიმები დაბეჯითებით მირჩევენ უფრო თბილ ჰავას. დამეთანხმებით, რომ ასეთი შედეგიანი ოპერაციის შემდეგ, რომელიც თბილისში გამიკეთეს, ამ ქალაქის ჰავა მე განსაკუთრებით თბილი უნდა მეჩვენებოდეს...

● **20 იანვარს დაიწყო მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე ტიგრან პეტროსიანსა და ლევ პოლუგაევსკის შორის. ხომ არ გვეტყოდით წინასწარ რაიმეს ბრძოლის მოსალოდნელ შედეგზე?**

— ჩემი მთავარი პროგნოზი აღმოჩენა სულაც არ გახლავთ — ეს იქნება უაღრესად საინტერესო მატჩი. ერთ-ერთმა მეტოქემ, პეტროსიანმა, საოცრად მოკლე დროში დასძლია შემოქმედებითი და ფსიქოლოგიური კრიზისი. მან საჭადრაკო სამყაროს დაუმტკიცა, რომ უწინდებურად ძლიერია. ამ დასკვნის უფლებას გვაძლევს პეტროსიანის ოსტატობა მალიორკაზე, სადაც მან რამდენიმე შესანიშნავი პარტია ითამაშა.

მეორე მეტოქე — პოლუგაევსკი შარშანდელი წლის ერთ-ერთი გმირი იყო. I ადგილის გაყოფა სსრ კავშირის ჩემპიონატში, შემდეგ კი დიდ საერთაშორისო ტურნირში, იუგოსლავიაში, მოწმობს, რომ პოლუგაევსკი ამჯერად ძალთა გაფურჩქვნის ხანაშია.

რასაკვირველია, პეტროსიანის მხარეზეა სამატჩო შეხვედრებში მოპოვებული დიდი გამოცდილება, მაგრამ იგი მხოლოდ გრძელი მატჩების სპეციალისტია. და საერთოდაც, პეტროსიანი ტიპიური საჭადრაკო სტაიერი გახლავთ. პოლუგაევსკიმ კი თავის ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა ა. ზაიცევთან. მაგრამ ეს იყო მოკლე მატჩი, სადაც, სხვათა შორის, პოლუგაევსკი მდევრის როლში იყო, სპრინტერულ დისტანციაზე. კი ეს ძალიან ძნელია.

თუ ვინმეს ჩემი სუბიექტური აზრი აინტერესებს, ასე ვიტყოდი: ან პეტროსიანი მოიპოვებს წმინდა გამარჯვებას, ან პოლუგაევსკი გაიმარჯვებს ქულებით.

● **გაზაფხულზე მოსალოდნელია განსაკუთრებული მოვლენა ჭადრაკის ისტორიაში — მატჩი ათ დაფაზე სსრ კავშირისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის. თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს ამ უჩვეულო შეჯიბრებაში?**

— ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირის გუნდი გაიმარჯვებს 5 ქულის უპირატესობით. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ინდივიდუალური მატჩები 4-4 პარტიით (სულ გათამაშდება 40 პარტია) და უმთავრესად მსოფლიო ჩემპიონ სპასკის ორთაბრძოლა ფიშერთან, რომელიც, იმედი მაქვს, სათავეში ჩაუდგება ჩვენი მეტოქეების გუნდს. თუ ფიშერმა რაიმე მორიგი ტრიუკი მოაწყო და თამაშზე უარი თქვა, პირველი დაფების მატჩი ისე საინტერესო, ალბათ, აღარ იქნება. ლარსენს, როგორც ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა მალიორკის ტურნირმა, სრულიად არ შეუძლია სპასკის წინააღმდეგ თამაში.

● **როგორ შეადგენდით მსოფლიოს ნაკრებს?**

— ჩემი აზრით, ნაკრები ამ შემადგენლობისა უნდა იყოს: ფიშერი, ლარსენი, პორტიში, გლიგორიჩი, რეშევსკი, ნაიდორფი, ჰორტი, მატულოვიჩი, ულმანი და მეკინგი. ვფიქრობ, სადავო მხოლოდ ბოლო კანდიდატურაა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ბრაზილიელი მოჭადრაკე განსაკუთრებული მოვლენაა, თუნდაც სპორტული შედეგების მიხედვით. დარწმუნებული ვარ, 2 წლის შემდეგ მეკინგზე თითქმის ისევე ილაპარაკებენ, როგორც ამ 10 წლის წინ ფიშერზე ლაპარაკობდნენ. მალიორკის ტურნირში მისმა პარტიებმა ცხადყო, რომ მეკინგის ტალანტი დიდი სისწრაფით იზრდება.

● **ბოლო შეკითხვა: არ ვიცი მიაქციეთ თუ არა ყურადღება, რომ თბილისის ტურნირის ერთ-ერთი რეპორტაჟი ასე იყო დასათაურებული: „ახალი გურგენიძე, ძველი ტალი". რას იტყვით, უნდა ჰქონდეთ თუ არა ჭადრაკის მოყვარულებს იმედი, რომ კვლავაც ბევრჯერ იხილავენ „ძველ ტალს"?**

— რასაკვირველია, ძველი ნიმუშის ტალის ხსენება ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, განსაკუთრებით ორი წლის მანძილზე განუწყვეტელი წარუმატებლობის შემდეგ. და მაინც... და მაინც ძველი ტალის თამაშში ამჟამად ბევრ ნაკლს ვხედავ. ამიტომ განკურნების შემდეგ მინდა, თუ კი მოვახერხე, ახალ შეჯიბრებებში ვიყო არა მხოლოდ ძველი, არამედ რაღაცით ახალი ტალიც...

ვ. ვასილიევი.

მორის ფოცხიშვილი

თეთრი რაშები

მიხეილ ტალს

ჭადრაკის გულჭრელ დაფად გადაშლილ
გზებზე
ვინ
მოჰქრის
თეთრი
რაშებით?! —
ნუთუ ეს შენ ხარ,
ჩემს ქვეყანაში
დრო-ჟამს ჭადრაკს რომ ეთამაშები...

დაიმორჩილე პაიკი — ბედი,
ეტლში შეაბი
მიმწუხრივით შავი მოზვერი,
დღეები დასვი ერთურთის გვერდით,
როგორც „დამწყები ანგელოზები"
და აირბინე მწვერვალი თეთრი,
მწვერვალია თუ თოვლის ფიფქია, —
გვირგვინი დასთმე...
მეფური კვერთხი
შენ არასოდეს არ დაგითმია...

დალუქულია საიდუმლოდ
ყველა ბარათი, —
ხვალ შენი სვლაა,
ჩართულია შენი საათი.

ხვალ შენი სვლაა,
შეიცვლება თქვენი როლები,
თუ საჭიროა,
სატანასაც შეებრძოლები.

ხვალ შენი სვლაა
და გულით მინდა
კვლავ ყალყზე დადგნენ
შენი რაშები,
შენ ტკივილებთან შეგიძლია
თამაში მშვიდად,
ხევდასაც მშვიდად ეთამაშები.

იბრძვი, იმარჯვებ, მარცხდები ხშირად,
თუმც მორჩილებას
სულ არ აპირებ, —
სიცოცხლესაც კი სიცილით სწირავ
სიკვდილს,
ვით ცბიერ მოპირდაპირეს...

მაგრამ ის ალბათ ძალზე მხდალია
და ეშინია თურმე ძალიან.
ჭადრაკის დაფად ქცეულ ქვეყნიდან
ვერ გაუბედავს
შენი
აყვანა,
ალბათ ჰგონია, გზებს დაუხლართავ,
სულ მთლად დააბნევ,
მახეს დაუგებ,
და ჰა, თეთრიდან
ცისფერ კვადრატზე
ისევ ბრიალებ მზის სიჭაბუკედ.

დიახ, საწუთრო ძალზე მხდალია
და ეშინია შენი ძალიან...

ძალზე ბევრს ფიქრობს...
ძირს უვარდება
დროშა, რომელსაც შავი გული აქვს,
კვლავ ბობოქრობენ შენი მხედრები:
— ეს ერთი ომიც მოგებულია!

და დაფრინავენ შენი ქორები,
და ჰიხვინებენ შენი რაშები:
— თუ საჭიროა,
სატანასაც შევებრძოლებით,
თვითონ ღმერთებსაც
ვეთამაშებით!

წარმატება ღია ჩემპიონატებში

სოჭში ორ დღეს გაგრძელდა ქალაქის მძლეოსანთა ღია პირველობა, რომელშიც კრასნოდარის, მაიკოპისა და აფხაზეთის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

60 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა 15 წლის სოხუმელმა თ. ბელოვამ. მისი შედეგი — 7,7 წამი — აფხაზეთის გოგონათა ახალი რეკორდია და საქართველოს გოგონათა რეკორდის გამეორება. მანვე მოიგო 200 მეტრზე რბენა — 26,5. ბელოვა ამჯერად მხოლოდ აფხაზეთის რეკორდის გაუმჯობესებით დაკმაყოფილდა.

სოჭის ჩემპიონობა მოიპოვეს, აგრეთვე, სოხუმელებმა ლ. ხლიბოვმა (60 მეტრზე ჭაბუკების რბენაში), ნ. კობელევამ (სიმაღლეზე ხტომაში) და ლ. ლოვჩევმა (60 და 200 მეტრზე უმცროსი ასაკის ბიჭების შეჯიბრებაში).

გ. კოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სოხუმი.

* * *

რიგაში დიდი ინტერესი გამოიწვია „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირადმა ღია ჩემპიონატმა მაგიდის ჩოგბურთში. ამ ასპარეზობაში მიწვეული იყო საქართველოს ათგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ს. პარფინიდი (ბათუმი).

ჩემპიონის სახელისთვის 32 ქალი იბრძოდა. პარფინიდიმ თავიდანვე კარგად დაიწყო და ფინალში დაუმარცხებლად გავიდა. აქ მის პირისპირ დადგა რიგელი ოსტატობის კანდიდატი ბ. გეინერტე. გაიმარჯვა ბათუმელმა — 3:0 (21.18, 21:17, 21:16).

პარფინიდის გადაეცა ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სამახსოვრო თასი და I ხარისხის დიპლომი.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

დიდი გეგმები

არიან ოლიმპიადებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. მას შემდეგ მსოფლიო სარბიელზე ოსტატობა გაიზარდა და ახლა საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლისთვის მარტო კარგი ფიზიკური მომზადება, ტექნიკა, შეუპოვრობა და გამძლეობა არ კმარა — ინტელიგენტიც უნდა იყო.

ვეტერანებიდან 1972 წლის ოლიმპიური ნაკრების ნაღდ კანდიდატებად იურკევიჩმა დაასახელა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი რ. რურუა, მსოფლიო ჩემპიონები ნ. იაკოვენკო, ა. რომჩინი...

კლასიკური სტილის მოჭიდავეები ამ სეზონს დაიწყებენ სსრ კავშირის ჩემპიონატით, რომელიც ჩატარდება ჯერ ტალინში (25 თებერვლიდან 1 მარტამდე), შემდეგ ომსკში (4-8 მარტს). ქვეყნის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება რიგაში (2-6 სექტემბერი) I ჯგუფის გუნდებისთვის, და კაუნასში (10-13 სექტემბერი) — II ჯგუფის კოლექტივებისთვის.

საერთაშორისო ტურნირები ი. პოდუბნის მემორიალით დაიწყება დონის როსტოვში 3 აპრილს. შემდეგ მოეწყობა ევროპის ჩემპიონატი გდრ-ის დედაქალაქში (8-15 ივნისი) და მსოფლიო ჩემპიონატი კანადის ქალაქ ედმონტოში (4-12 ივლისი). ამავე თვეებში ჩატარდება კონტინენტის ჩემპიონატები და მსოფლიო პირველობები თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისთვის.

თბილისის ტურნირის შემდეგ თავისუფალი სტილის საბჭოთა ათლეტები მარტში ირანში გამოვლენ აპრილში — ბულგარეთში. ახალგაზრდა საბჭოთა მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ „ოლიმპიური იმედების" ტურნირში, რომელიც აგვისტოში უნგრეთში ჩატარდება.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისთვის ვრცელი საკავშირო კალენდრიდან, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია საკავშირო ჩემპიონატები. პირადი შეჯიბრება ჩატარდება აპრილში — ჯერ მახაჩყალაში (15-19), შემდეგ — ნოვოსიბირსკში (22-26). გუნდური ტურნირები გაიმართება ოქტომბერში: I ჯგუფისთვის ლენინგრადში (21-25), 10 დღით ადრე კი II ჯგუფისთვის — კოლომნაში.

ბ. ხაჩკოვანიანი.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

ორი ტურნირი

ბაკურიანი, 26 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). თხილამურებით რბენაში სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლა კალენდრით 7-10 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ ნაკრების წევრთა დროულად შერჩევისა და აქვე გუნდის უკეთ მომზადების მიზნით შეჯიბრება 30 იანვარს დაიწყება. ამან ბაკურიანის თასის ორგანიზატორებიც აიძულა, რომ ეს ტურნირი ამდენივე დღით წინ გადაეწიათ. მანამდე კი აქვე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა გაიმართა. ამ საზოგადოებამ შეადგინა გუნდი, რომელიც ქვეყნის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

დინამოელი ქალები ჯერ 5, ხოლო მეორე დღეს 10 კმ-ზე ასპარეზობდნენ, ვაჟებმა კი, პირიქით, ჯერ უფრო გრძელ (30 კმ) დისტანციაზე გაითამაშეს პირველობა, შემდეგ ერთმანეთს 15 კმ-ზე შეეჯიბრნენ.

ტურნირი შარშან სპეციალურად შერჩეულ რთულ ტრასაზე მოეწყო. 5 კმ-ზე მორბენალ ქალებში მოსკოველი ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. კოლჩინას უპირატესობა აშკარა იყო. მან თავიდანვე სწრაფი ტემპი აიღო, ბოლომდე შეინარჩუნა იგი და საკმაოდ მაღალი შედეგითაც (18.47,0) გაიმარჯვა.

სწორედ კოლჩინას ინიციატივით იყო, რომ სხვა პრიზიორებმაც დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მოიპოვეს: ლ. ლუკიანენკომ (კამჩატკის პეტროპავლოვსკი) — 19.45,0 აჩვენა, გ. ხალიტოვამ (ლენინგრადი) — 19.51,0.

სამაგიეროდ, 10 კმ-ზე რბენაში კოლჩინას 4 წამით აჯობა ხალიტოვამ (40.40,0). III ადგილზე გავიდა ს. კონდრატიევა (ესტონეთი) — 41.53,0.

30 კმ-ზე შეჯიბრება. შუა დისტანციის შემდეგ მოსკოველი ა. ნასედკინი თანაგუნდელ ვ. ვედენინს კვალში მიჰყვებოდა, მაგრამ არც მინსკელი ვ. ოვსეევი აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას, როცა ფინიშამდე ხუთიოდე კილომეტრი დარჩა, ნასედკინი დაწინაურდა და თვალსაჩინო უპირატესობასაც მიაღწია. მისი შედეგია 1:48.57. II ადგილი ხვდა ვედენინს — 1:49.41, III — ოვსეევს — 1:50.21.

როგორც ჩანს, ამ დისტანციაზე გამარჯვებამ ნასედკინი დააკმაყოფილა, ამიტომ იგი 15 კმ-ზე აღარ გამოსულა, რამაც ვედენინს გამარჯვება გაუადვილა — 57.46,0. ოვსეევი ამჯერადაც მესამე იყო — 58.28,0, ვინაიდან ახლა მას ა. კალიუგინმა (კიროვი) აჯობა — 57.46,0.

ბაკურიანის თასისთვის მებრძოლებს ცუდი ამინდი დაუდგათ. ფაქტიურად, ეს იყო გენერალური რეპეტიცია ქვეყნის თასზე შეჯიბრების წინ. ამიტომ ტურნირში დინამოელთა გარდა თასის ყველა მაძიებელი გამოვიდა, წინადღით დაქანცულმა დინამოელებმა კი დასვენება ამჯობინეს.

გამარჯვებისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატებიც. 5 კმ-ზე რბენაში საპრიზო ადგილებიც სწორედ მათ შორის განაწილდა. გაიმარჯვა გ. კულაკოვამ (იჟევსკი, „ტრუდი“), რომელმაც საკმაოდ უხეირო შედეგით (25.40,0) დაამთავრა რბენა.

ამაში მთავარი დამნაშავე სწორედ უამინდობაა — მთელი შეჯიბრების მანძილზე თოვდა, ქროდა ქარი. II ადგილზეა გ. პილიუშენკო (შეიარაღებული ძალები) — 25.53,0, III — ნ. შებალინა (ლენინგრადი, „სპარტაკი“) — 26.01,0.

მაღალი მაჩვენებლები არც ვაჟებს ჰქონდათ. 15 კმ-ზე რბენაში გამარჯვებულმა გ. ტარაკანოვმა (შეიარაღებული ძალები) დისტანციის გავლას 1:02.32 მოანდომა და II ადგილზე გასულ ვ. დოლგანოვს (ომსკი, „ტრუდი“) 57 წამი მოუგო. III ადგილი დაიკავა ანგარსკელმა ნ. ანტონენკომ („ტრუდი“) — 1:03.41.

ბაკურიანის თასზე შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსმენები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ვ. მიქაბერიძე.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

27:13

ეს ხელბურთელთა გუნდების მატჩის შედეგი კი არა, სამთომოთხილამურეთა უჩვეულო შეჯიბრების ანგარიშია. საფრანგეთისა და აშშ-ს გუნდების წარმომადგენლები ამას წინათ შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთის კურორტ მეჟევში, სპეციალური და გიგანტური სლალომების პარალელურ ტრასებზე შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მეტოქეთ 5-5 ქალი და ვაჟი გამოჰყავდათ. სპორტსმენებს სტარტი ჯერ სპეციალურ სლალომში ეძლეოდათ ერთდროულად. გამარჯვებულად ის ითვლებოდა, ვინც ტრასას უშეცდომოდ გაივლიდა და მეტოქეს ფინიშზე მიასწრებდა. შემთხვევითობის თავიდან აცილების მიზნით ყველა წყვილს 2-2 ცდის უფლება ჰქონდა. ამგვარი ასპარეზობა ევროპაში პირველად მოეწყო და უამრავი მაყურებელიც მიიზიდა. შეჯიბრება ტელევიზიითაც გადასცეს.

მასპინძელმა ვაჟებმა შესანიშნავად იასპარეზეს — 15:5. ვალში არც ქალები დარჩენილან, ოღონდ აქ ანგარიშში უფრო მცირე სხვაობა იყო — 12:8. საბოლოოდ გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 27:13.

ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა. როგორც მათი ხელმძღვანელები ამბობენ, ეს ტურნირი მსოფლიო პირველობის წინ შესანიშნავი რეპეტიცია იყო.

მეჟევის სპორტის მესვეურებმა სურვილი გამოთქვეს, რომ შემდეგში აქვე გაიმართოს ასეთივე საერთაშორისო ტურნირი ორი კი არა, რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობით, ამასთან, 4-5 ანალოგიურ ტრასაზე. ამბობენ, სარბიელის აგება ჩვენზე იყოსო. ამას იტყობინება ბულგარეთის „ნაროდენ სპორტი“.

„პირობა ნაწილობრივ გაამართლა“

ასე წერს პოლონური გაზეთი „სპორტი“ (კატოვიცე), რომელიც კლინგენტალში „მეგობრობის თასზე“ გამართული „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრების I ტურის ანგარიშს აქვეყნებს. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საერთაშორისო ასპარეზობამდე (სარბიელზე ოთხი ქვეყნის სპორტსმენები გამოდიან) აქვე გაიმართა გდრ-ის „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება, რომელშიც ბრწყინვალედ გამოვიდა ჰ. შმიდტი. მან 222,0 ქულა დააგროვა (90,5 და 94 მ) და პირველობა მოიგო. მაშინ ჰ. შმიდტმა საგრძნობლად ჩამოიტოვა გუნდის კაპიტანი ჰ. კვეკი, რ. შმიდტი და სხვ.

შეჯიბრების შემდეგ ჰ. შმიდტმა პრესის მუშაკებს განუცხადა, „მეგობრობის თასსაც“ მოვიგებო, მაგრამ ამ ტურნირში მხოლოდ მესამე იყო: მან 207,8 ქულა მოაგროვა, მისმა მოგვარემ — 212,7, ხოლო გამარჯვებულმა კვეკმა — 217,7 ქულა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მასპინძლებს დარჩათ.

II ადგილზეა სსრ კავშირის გუნდი, რომლის წევრებმა გ. ნაპალკოვმა (გორკი) და ვ. ბელოუსოვმა (ლენინგრადი) საბოლოოდ ერთნაირი შედეგი (205,7 ქულა) აჩვენეს, ნახტომების ჯამიც ერთნაირი ჰქონდათ (88,5 და 84 — ნაპალკოვს, 88 და 84,5 — ჟუგლანოვს). მოსკოველმა ა. ივანიკოვმა VIII ადგილი დაიკავა (88 და 82 — 199,7 ქულა), ლენინგრადელმა ა. ჟუგლანოვმა — X (86 და 82 — 195,9).

„ცუდი“ მასპინძლები

იუგოსლავიელმა „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ მარიბორის ცნობილ ტრამპლინზე საასპარეზოდ მიიწვიეს ავსტრიელები და „ცუდად“ უმასპინძლეს: ავსტრიელთა ნაკრების ლიდერი რ. ბაჰლერი აიძულეს II ადგილით დაკმაყოფილებულიყო — 215,6 (68 და 70,5). მას აჯობა მ. მაზეცმა (იუგოსლავია), რომელიც ჯერ 71 მეტრზე გადახტა, მეორე ცდით 69,5 მ აჩვენა და 218,3 ქულა დააგროვა.

რაშკა არ ხუმრობს

საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა შამონის ტრამპლინზე ასპარეზობის შემდეგ შვეიცარიაში გადაინაცვლეს და სანკტ-მორიცის დიდ ტრამპლინზე გააგრძელეს დავა. უპირატესობა ამჯერადაც ჩეხოსლოვაკიელების მხარეს იყო, ამასთან, ისევე როგორც შამონიში, პირველობა გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. რაშკამ მოიგო. II ადგილზე აქაც რ. ჰენლი გავიდა. რაშკა პირველ ცდაზევე 82 მეტრზე გადახტა და თანამემამულეს 2 მეტრი მოუგო.

თანაგუნდელებმა მეორე ცდაზე ერთნაირი შედეგი (81 მ) აჩვენეს, მაგრამ რაშკა სტილში შეუდარებელი იყო — 215,7 ქულა დაიმსახურა. ჰენლი 206,8 ქულას დასჯერდა. ორი ტრამპლინის ჯამში, რა თქმა უნდა, რაშკა დაწინაურდა — 438 ქულა. ჰენლის 421,8 ქულა დაუგროვდა.

გუნდურ ჩათვლაში ჩეხოსლოვაკიელები ლიდერობენ და ეჭვი აღარავის ეპარება, რომ, III ტურის (იტალია) შედეგების მიუხედავად, მათ პირველობა განაღდებული აქვთ. როგორც ჩანს, მსოფლიო პირველობაში ისინი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ...

ასე განაცხადეს ფინეთის მოთხილამურეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელებმა ა. ტიაინენმა და ე. კირონენმა, როცა ჰკითხეს, როდის დაადგენენ ქვეყნის ნაკრების საბოლოო შემადგენლობას. ფინეთის ჩემპიონატი იანვრის ბოლოს გაიმართება. მანამდე ნაკრების კანდიდატები შესარჩევ შეჯიბრებებში თავგამოდებით იბრძვიან, რომ გადამწყვეტ გამოცდაზე მომზადებული წარსდგნენ.

ერთი ამგვარი ასპარეზობა მიკელიში გაიმართა. ვაჟები 30 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ასეთი დისტანცია მათ წლეულს ჯერ არ ჰქონიათ. გაიმარჯვა კ. ლაურილამ — 1:46.17. II ადგილზეა კ. ოიკარაინენი — 1.46.35, III — ჰ. ტაიპალე — 1:46.56.

ქალები 5 კმ-ზე ასპარეზობდნენ. ამჯერად ბრძოლაში გუნდის ლიდერი მ. კაიოსმააც ჩაება და გაიმარჯვა კიდეც — 20.57,0. მ. მუტილაინენმა მასთან 41 წამი წააგო. III ადგილზეა ჰ. ტაკალო — 21.50,0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

დღეს

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კულტურის სახლის შენობაში (მაიაკოვსკის ქ. № 6, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად) შედგება **თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშგება-არჩევნები.**

დასაწყისი 18 საათზე. დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 17 საათიდან.

ფეხბურთის მწვრთნელების, გუნდების წარმომადგენელთა და მსაჯთა დასწრება სავალდებულოა.

ინტერვიუ ტელეფონით

ჩვენ ვლიდერობთ

ამჟამად მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა ამხანაგური მატჩი. თითოეულ გუნდში 6 ქალია. ისინი ოთხ ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა საბჭოთა გუნდის ლიდერს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს.

— იუგოსლაველთა კაპიტანმა მ. ლაზარევიჩმა მოსკოვში ჩამოიყვანა ნიჭიერი ახალგაზრდები: თ. ბელამარიჩი, კ. იოვანოვიჩი, ლ. ჟივკოვიჩი, თ. ვუიანოვიჩი და ზ. ტორმა, — თქვა ნონამ. — პირველ დღეს შიში ვჭამეთ, როცა ორი ნოლი მივიღეთ: ზატულოვსკაიამ იოვანოვიჩთან უკეთეს პოზიციაში დროს გადააცილა, კონოპლიოვა კი ვუიანოვიჩთან დამარცხდა.

მეორე დღეს დიდი მონდომებით ვიბრძოდით. მე ლაზარევიჩს მოვუგე, კუშნირმა — ბელამარიჩს, კონოპლიოვამ—ვუიანოვიჩს და კოზლოვსკაიამ—ტორმას. კვლავ წააგო ზატულოვსკაიამ, რომელმაც ისევ ცაიტნოტში ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება.

ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ჩვენ ვლიდერობთ — 7,5:3,5 და 1 გადადებული პარტია. ეს პარტია მე მაქვს გადადებული ლაზარევიჩთან ზედმეტი პაიკით.

როგორც ცნობილია, ნანა ალექსანდრია ჰოლანდიაში თამაშობს. 3 ტურის შემდეგ მას 2 ქულა და 1 მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია ჰქონდა. გუშინწინ დიდოსტატი ს. ფლორი დაუკავშირდა ვეიკ-ან-ზეეს და შეიტყო, რომ ნანამ ხელთ იგდო ლიდერობა: 5 ტურის შემდეგ მას 4,5 ქულა აქვს.

გუშინ...

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, შედგა საქართველოს ვაჟთა 31-ე ჩემპიონატის ნახევარფინალის დასკვნითი, IX ტური. ფინალის ორი საგზური მოიპოვეს თბილისელმა დ. გედევანიშვილმა და ბათუმელმა ლ. ნეურონოვმა — 7,5-7,5 ქულა. პირველი დაუზავდა გ. კუთარაშვილს (გორის რაიონი), მეორემ კი მოუგო ო. თურქესტანიშვილს (თბილისი).

20½

◆ ვეიკ-ან-ზეე, 27 იანვარი. ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში ლიდერობს ლენინგრადელი დიდოსტატი მ. ტაიმანოვი. XI ტურში მან დაამარცხა ფინელი ოსტატი ჰ. ვესტერინენი და ახლა 9 ქულა აქვს. ოსტატთა ტურნირში დაწინაურდა შვედი უ. ანდერსონი, რომელიც ბ. ლარსენის შემდეგ მეორე მოჭადრაკედ ითვლება სკანდინავიაში.



პეტროსიანი — მიზანთან ახლოს

მოსკოვი, 27 იანვარი. გუშინ სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის ტ. პეტროსიან — ლ. პოლუგაევსკის მატჩის IV პარტია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა.

ახალინდურ დაცვაში პოლუგაევსკიმ რთული ვარიანტი აირჩია. დიდხანს არ ჩანდა, თუ ვის მხარეზე იყო უპირატესობა. 24-ე სვლიდან პეტროსიანმა ხელთ იგდო ინიციატივა. სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში პოლუგაევსკის გაუჭირდა ცენტრალური პაიკების დაცვა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ამ პაიკების სისუსტე ოსტატურად გამოიყენა და 42-ე სვლაზე ლამაზი მანევრით გაიმარჯვა.

3:1 — ასეთია ახლა მატჩის ანგარიში პეტროსიანის სასარგებლოდ. დარჩენილ ორ პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ნახევარი ქულაც ყოფნის ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

* * *

სურათზე: ლ. პოლუგაევსკი (მარცხნივ) და ტ. პეტროსიანი თამაშის დროს.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

პაიკი დიდი ძალაა

თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. III ტური. მ. სანაძე — ს. ჩეჩელიანი 0:1, ვ. სემიონოვი — მ. ლევინი 0:1, ს. ელბაქიძე — გ. ციხელაშვილი 0:1, მ. თხელიძე — ე. ბელქანია 1:0, დ. ჯანოევი — ვ. მეჩითოვი 0,5:0,5, თ. ალაბეგაშვილი — ე. მიქაელიანი 0,5:0,5, ს. მეგრელიშვილი — თ. ლომაია 0:1. ზ. მიქაძე — ნ. ჩახოიანი გადაიდო.

3 ტურის შემდეგ ჩეჩელიანს 3 ქულა აქვს, ჯანოევს, ლომაიასა და ბელქანიას — 2-2.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დიდი ფრანგი მოჭადრაკე ა. ფილიდორი ამბობდა: „პაიკი პარტიის სული და გულია“. ზედმეტი პაიკი გამარჯვების წინამორბედია, თუმცა ეს, ცხადია, კონკრეტულ პოზიციაზეც არის დამოკიდებული.

ბელქანიამ ზერელედ გაითამაშა დებიუტი და თხელიძემ დასაწყისშივე მოიგო პაიკი. მართალია, ენდშპილში ბელქანია შეუპოვრად თამაშობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. იგივე ამბავი გამეორდა მეგრელიშვილ — ლომაიას შეხვედრაში. უპაიკოდ დარჩენილმა თეთრებმა წაგებას თავი ვერ დააღწიეს.

უპაიკოდ ციხელაშვილიც თამაშობდა, მაგრამ მან თვითონ შესწირა იგი ელბაქიძეს იერიშისთვის ხაზების გასახსნელად. იერიში კი მართლაც ძლიერი გამოვიდა: მეტოქის მეფის პოზიცია წალეკა, ხოლო თვით გვირგვინოსანს შამათი გამოუცხადა.

თ. ნინოშვილი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 03129